პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 30 დეკემბერი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

296 (994)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## ავაგოდ ამხ. ფრუნზეს სახელობის წითელი არმიის სახლი!

**კავშირის რევსამხსაბჭოს მიმართვა მუშურ-გლეხური წითელი არმიისადმი.**

წითელი არმიის ბელადის მიხეილ ვასილის ძე ფრუნზეს ერთი მუდმივი საზრუნავთაგანი იყო მუშურ-გლეხური წითელი არმიის წითელ არმიელთა, მეთაურებისა და პოლიტმომუშავეების სამხედრო, პოლიტიკურ და კულტურულ დონის განუწყვეტლივ ამაღლებაზე ზრუნვა.

მიხეილ ვასილის ძე იყო სამხედრო-სამეცნიერო მოძრაობის შემომქმედი; მას არა ერთხელ დაუსვამს საკითხი შექმნილიყო საბჭოთა კავშირის დედა ქალაქ მოსკოვში ისეთი სამხედრო კულტურული ცენტრი, რომელიც იქნებოდა მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-სამეცნიერო აზრის ლაბორატორია და იმავ დროს დასასვენებელი ადგილი წითელ არმიელის, მეთაურისა და პოლიტმომუშავესთვის.

მიხეილ ვასილისძესთვის, რომელმაც წითელ არმიასთან ერთად გაიარა მძიმე და მთავარი გზა მუშათა რაზმების პირველი რევოლიუციონური ბრძოლიდან დღემდის—მისი ძლიერების განმტკიცებამდი,—საუკეთესო ძეგლი იქნება ამ მისი იდეის განხორციელება.

კავშირის რევსამხსაბჭომ თავის სხდომაზე ამა წლის 2 ნოემბრიდან დაადგინა:

**„ამხ. მიხეილ ვასილის ძე ფრუნზეს ხსოვნის უკვდავსაყოფად აგებულ იქნას მის სახელზე ქ. მოსკოვში წითელი არმიის ცენტრალური სახლი“.**

რევოლიუციონური სამხედრო საბჭო მოუწოდებს მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთელ პირად შემადგენლობას მიიღონ მონაწილეობა ფონდის შექმნაში ფრუნზეს სახელობის წითელი არმიის ცენტრალურ სახლის ასაგებად და გამოსთქვამს რწმენას, რომ თვითეული წითელარმიელი, მეთაური და პოლიტმომუშავე გამოეხმაურება ამ მოწოდებას განსვენებული ბელადის ანდერძის განხორციელების შესახებ.

საბჭოთა კავშირის რევსამხსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **უნშლიხტი.**

რევსამხსაბჭოს წევრი და პოლიტსამმართველოს უფროსი **ბუბნოვი.**

## წვევამდელო გააძლიერე სამხედრო სწავლება.

მიუხედავათ ზოგიერთი ტექნიკურ და მატერიალურ დაბრკოლებისა წრეულს წვევამდე მზადება გაცილებით მეტის ნაყოფიერობით და წარმატებით მიმდინარეობს, ვიდრე გასულ წელში. ამას მოწმობს ის აუარება კორესპონდენციები, რომლებიც მოგვდის ყველა წერტებიდან. წვევამდელები ენერგიულად და ხალისიანად ეკიდებიან სამხედრო სწავლებას და პოლიტმეცადინეობას.

საჭიროა და აუცილებელი არის, რომ ეს ბეჯითობა სამხედრო მეცადინეობაში ჩვენმა წვევამდელებმა კიდევ უფრო გააღრმავონ და გააძლიერონ. რა დაბრკოლებებიც არ უნდა გადაგვეღობოს, რა სიძნელეებიც არ უნდა შეგვხვდეს წინ, წვევამდე მზადება წარმატებით და ნაყოფიერობით უნდა ჩავატაროთ. ეს კარგად უნდა შეიგნოს თითეულმა წვევამდელმა. წვევამდელმა არ უნდა დაივიწყოს ის გარემოება, რომ რაც უფრო მეტ სამხედრო ცოდნას შეიძენს ის წერტზე, რაც უფრო კარგად გაიწვრთნება ის სამხედრო საქმეში აქ, მით უფრო ადვილი იქნება მისთვის წითელ არმიაში სამსახური და სწავლა. ხოლო თუ ის იზარმაცებს და არაფერს არ გააკეთებს, წითელ ჯარში მოსვლის შემდეგ სამხედრო სწავლებსაც გაუძნელდება და ამხანაგებსაც უკან ჩამორჩება.

ამიტომაც მეტი ხალისი, მეტი ენერგია, მეტი გულმოდგინეობა წვევამდე მზადების დროს. არც ერთი წუთი ტყუილო უბრალოდ არ უნდა იქმნას გაცდენილი. წვევამდე მზადების დამთავრებამდე სულ ორ კვირაზე ცოტა მეტი დარჩა.

ეს დარჩენილი დრო რაც შეიძლება მეტის ნაყოფიერობით უნდა იქმნას გამოყენებული. წვევამდელმა ამ ხნის განმავლობაში ყოველმხრივ უნდა ეცადოს, რაც შეიძლება მეტი სამხედრო ცოდნა შეიძინოს, რაც შეიძლება უფრო ახლოს გაეცნოს სამხედრო ხელოვნებას.

წვევამდელებს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ისინი წითელი არმიის მომავალ ცვლას წარმოადგენენ.

მათი მთავარი ამოცანა არის—იყვენ ღირსეული და საიმედო ცვლა.

ეს კი შესაძლებელია დაუზარებელი, ენერგიული, გულმოდგინე სწავლით წერტზე.

„მე ღირსეული ჯარისკაცი ვიქნები წითელ არმიის!“—ეს სიტყვები შეუძლია სთქვას მხოლოდ იმ წვევამდელმა, რომელიც კარგად სწავლობდა სამხედროს საქმეს წერტზე და დიდის ნაყოფიერობით დაასრულა წვევამდე მზადება.

ვიმედოვნებთ, რომ ასეთი სამაგალითო წვევამდელი იქნებიან ყველა ჩვენი წვევამდელები.

გავაღრმავოთ წვევამდე მზადება.

—ე.

## ოსმალეთის კონტრრევოლიუცია.

ოსმალეთის მთავრობამ ამას წინად ერთგვარი ცვლილება შეიტანა ადათ-ჩვეულებისა და ტანსაცმელში. ამით ისარგებლა მთავრობის წინააღმდეგ განწყობილ პირებმა და სასულიერო მიმართულებასთან კავშირში რამოდენიმე გამოსვლები მოაწყვეს ამ ახალი ჩვეულებების საპროტესტოდ, რაც არსებითად მიმართულია მთავრობის წინააღმდეგ. მთავრობამ მიიღო ზომები და დაარსა სასამართლოები. ერზრუმში სასამართლომ უკვე მიუსაჯა ორ კაცს სიკვდილით დასჯა და რამოდენიმეს ციხე.

რამოდენიმე კაცი დაპატიმრებულია და გადაცემულია სასამართლოზე. გამოსვლების საქმეში ხელმძღვანელ როლს თამაშობდენ სტამბოლის კონტრრევოლიუციონერები და სასულიერო პირები,

## მეფის არმიის ქონების დაბრუნება.

ერზერუმში გაცემულია განკარგულება მეფის რუსეთის არმიის მიერ დატოვებულ სამხედრო ქონების უკან დასაბრუნებლად, რომელიც იმყოფება მოსახლეობის ხელში. მოსახლეობა ცოტ-ცოტათი აბარებს უკანვე ამ ქონებას.

## საფრანგეთის მუშა ახალგაზრდობა საბჭოთა კავშირის შესახებ

საბჭოთა კავშირში ნამყოფი საფრანგეთის მუშა ახალგაზრდობის დელეგაციის წარმომადგენლები კმაყოფილებას გამოსთქვამენ გაზ. „იუმანიტეს“ ფურცლებზე საბჭოთა კავშირში მოგზაურობით, რომლის დროსაც ისინი დარწმუნდენ, რომ საბჭოთა კავშირის აღმშენებლობა სოციალისტურ საფუძვლებზე თანდათან ძლიერდება.

# საბჭოთა კავშირში

## ჩიჩერინის დაბრუნება.

26 დეკემბერს საზღვარგარეთიდან მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი.

## პოლიტკატორღელთა მეორე საკავშირო ყრილობა.

27 დეკემბერს დაიწყო პოლიტკატორღელთა საზოგადოების მეორე საკავშირო ყრილობის საქმიანი ნაწილი. ყრილობაზე მონაწილეობს 162 დელეგატი. საზოგადოების ცენტრალური საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ვილენსკიმ, რომელმაც აღნიშნა საზოგადოების წევრთა მუშაობა ოქტომბრის მონაპოვართა გაძლიერებისა და ახალი ცხოვრების დიად აღმშენებლობის საქმეში.

## 1-ლი ოქროს სესხი.

1-ლი ოქროს სესხის გათამაშება დაიწყება 2 იანვარს. გათამაშებული იქნება 10,000 მეტი მომგებიანი ქაღალდი საერთო ჯამით 800,000 მანეთის.

## პარტორგანიზაციების რეზოლიუციები.

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა გუბერნიებში პარტიულ ორგანიზაციებს გამოაქვთ თავიანთ სხდომებზე რეზოლიუციები, რომლებშიაც ჰგმობენ ზოგიერთ ამხანაგების ოპოზიციურ გამოსვლას პარტიის ყრილობაზე. რეზოლიუციები მთლიანად იწონებენ ცენტრალური კომიტეტის ხაზს.

## პოეტ ესენინის თვითმკვლელობა.

28 დეკემბერს ლენინგრადში, სასტუმრო „ინტერნაციონალ“-ში თავი ჩამოიხრჩო პოეტ სერგო ესენინმა, რომელსაც წინასწარ გაეხსნა ხელებზე ძარღვები.

სასტუმროს ოთახში ნახეს დახეულ ხელნაწერების ფურცლები და დაწყებული წერილები, რომლებიც დაწერილია სისხლით.

# საქართველოში.

## აღმშენებლობა ჭიათურაში

ჭიათურის კომუნალურ მეურნეობამ დაასრულა ჩოლაბურის დიდი ხიდის აგება.

აკადემიურ თეატრს მიაშენეს ბუფეტი.

საზოგადოება „ქართული მარგანეცი“ შეუდგა დიდი აბანოს აგებას მუშებისათვის. იგივე საზოგადოება შეუდგა შავი ქვის გასაზიდ გზების შეკეთებას.

## სახელმწიფო დაზღვევა.

ოზურგეთში შესდგა სახელმწიფო დაზღვევის სამაზრო სააგენტო.

დაზღვევაში მიიღება შენობები და რქოსანი საქონელი.

განსაკუთრებულ განკარგულებამდის მაზრა სააგენტოს მოქმედების ზონაში არაა ჩარიცხული.

ოზურგეთის შენობები, რომლებიც აუცილებლად დაზღვეულ უნდა იქნას უდრის 1.179 სახლს.

# აზერბეიჯანში.

## ნავთის ნაწარმოების გატანა საზღვარგარედ.

ნავთის სინდიკატმა ამ დღეებში გააგზავნა საზღვარგარედ 6.116 ტონა ბენზინი.

ნავთის სინდიკატის ცნობით თებერვალში უნდა გაიგზავნოს გარიგების მიხედვით 4.000 ტონა ბენზინი.

## რა ღირს „წითელი არმიელი“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის

# ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ (Ბ) ᲛᲔ-XIV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

### ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲠᲔᲖᲝᲚᲘᲣᲪᲘᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ.

**...ენ მივდივართ სოციალიზმისაკენ.**

რკპ-ს მე-XIV ყრილობა მიღებულ რეზოლიუციაში იწონებს ცენტრალური კომიტეტის მუშაობას, რომელმაც უზრუნველყო სახალხო მეურნეობის საერთო გაძლიერება და გაამაგრა სოციალიზმის პოზიციები ქვეყნის შიგნით და გარედ. საბჭოთა კავშირი იცნო კაპიტალისტურ სახელმწიფოების მთელმა რიგმა და ამასთან მან დასდო რამოდენიმე სავაჭრო ხელშეკრულება.

ცეკას ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლებამ განამტკიცა მუშათა კლასის კავშირი გლეხობასთან, გაადიდა კოოპერაციის მნიშვნელობა, შეამჭიდროვა მუშათა კლასთან ინტელიგენციის საუკეთესო ფენა, ყრილობამ აღნიშნა აგრეთვე შეცდომებიც სამეურნეო მუშაობაში (განსაკუთრებით პურის შესყიდვასთან დაკავშირებით) და მიანდო ცეკას ფხიზლად ადევნოს თვალყური კავშირის სამეურნეო ორგანოების მუშაობას, რათა შეცდომები არ იქნას განმეორებული.

საერთაშორისო პოლიტიკის დარგში ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს განამტკიცოს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის კავშირი დასავლეთ ევროპის პროლეტარიატსა და აღმოსავლეთის ერებთან, განაგრძოს მშვიდობიანობის პოლიტიკა და ისე აშენოს საბჭოთა კავშირის მეურნეობა, რომ მწარმოებლების ქვეყნიდან სსრკ გადაიქცეს მრეწველობის ქვეყნად.

საჭიროა გაძლიერებულ იქნას ქვეყნის თავდაცვის საქმე, წითელი არმია, ფლოტი და ავიაცია.

შინაურ ცხოვრების დარგში ყრილობა აღნიშნავს, რომ მრეწველობის მოღონიერებით საბჭოთა კავშირმა საგრძნობლად წაიწია წინ სოციალიზმის გზაზე. ყრილობა ანდობს ცენტრალურ კომიტეტს განავითაროს სახელმწიფოს მსხვილი მეურნეობა მისი სოციალისტური ფორმების გასამარჯვებლად კერძო კაპიტალზე და ჩააბან გლეხობა სოციალისტურ აღმშენებლობაში კოოპერაციის საშუალებით. გაძლიერებულ იქნას სოფლის მეურნეობა სოფლად ტეხნიკის განვითარებით.

ყრილობა აღნიშნავს, რომ საჭიროა ბრძოლა იმ მიმართულებების წინააღმდეგ, რომლებსაც არ სჯერათ ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის წარმატება, უწოდებენ ჩვენს სახელმწიფო საწარმოებს „სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტურ" და არა თანდათანობითი სოციალისტურს, როგორც ლენინი უწოდებდა.

ყრილობა აღნიშნავს, რომ მეურნეობის ზრდასთან ერთად გაიზარდა პროლეტარიატი, საშუალო შეძლების გლეხი და აგრეთვე ბობოლაც ბურჟუაზიასთან ერთად. ბობოლას სურს შეძვრეს საბჭოებში, რათა წინააღმდეგობა გაუწიოს ხელისუფლებას.

**ანგარიში უნდა გაუწიოთ საშუალო შეძლების გლეხის როლს.**

უნდა ვებრძოლოთ ბობოლას კავშირის განმტკიცებით მუშებს, ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხებს შორის. ყრილობა ადგენს ებრძოლოს პარტიაში იმ გადახრას, რომელიც ვერ აფასებს სათანადოდ საშუალო შეძლების გლეხის როლს ჩვენს აღმშენებლობაში.

ყრილობის შეხედულებით ბობოლასთან საჭიროა ბრძოლა არა ძალით, არამედ ღარიბ და საშუალო გლეხობაზე დახმარებით.

ამ მხრივ ყრილობა იწონებს უკანასკნელი პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებს და აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმის გადაწყვეტილებებს სოფლის ღარიბ მოსახლეობაზე დახმარების შესახებ. ყრილობა ავალებს ყველა პარტიის წევრებს თვალყური ადევნონ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებას და ხელი შეუწყონ მის სწორ ზრდას.

უნდა ვაშენოდ კოოპერაცია ნებაყოფლობითი საფუძვლებზე, გავაცხოველოთ საბჭოები, მივიზიდოთ, როგორც მუშების ისე მშრომელ გლეხთა ფართე მასები სახელმწიფოს მმართველობის საქმეში.

შინა პარტიულ ცხოვრების დარგში ყრილობა იწონებს ცენტრალურ კომიტეტის ნაბიჯს შინაპარტიულ დემოკრატიის დადგენისთვის. საჭიროა მეტი მუშების მიზიდვა პარტიაში, მაგრამ პარტიაში არ უნდა იქნან შეყვანილი მერყევი, არა პროლეტარული ელემენტები. ყრილობა წინააღმდეგია პარტიაში ისეთი პირების შეყვანის, რომლებსაც არ გაუვლიათ კომუნიზმის სკოლა ორგანიზაციებში.

**პარტიის მთლიანობისთვის.**

ყრილობა აღნიშნავს, რომ პარტიის ხელმძღვანელი როლი ყველა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დაწესებულებებში შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ იმ პირობებში, თუ რომ პარტია მთლიანი იქნება.

ყრილობა ანდობს ცენტრალურ კომიტეტს აწარმოოს გადამჭრელი ბრძოლა ყოველგვარ ცდების წინააღმდეგ, პარტიის მთლიანობის საზიანოდ საიდანაც არ უნდა იყოს ეს ცდები და ვინც არ უნდა ხელმძღვანელობდეს მათ.

## ᲣᲪᲮᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲡᲜᲐ.

**ტონა**—დაახლოებით უდრის 61 ფუთს.

**სინდიკატი**—რამოდენიმე საწარმოს გაერთიანება. სინდიკატი საბჭოთა კავშირში აერთიანებს რამოდენიმე საწარმოს და აწარმოებს მხოლოდ მათი საქონლების გასაღებას.

**აკადემია**—სამეცნიერო დაწესებულება, რომლის მიზანია მეცნიერებათა და ხელოვნებათა შესწავლა; აკადემია არის აგრეთვე უმაღლესი სასწავლებელი მაგალითად სამედიცინო (სამკურნალო-სამეცნიერო), სამთო და სხვა.

**კომუნალური მეურნეობა**—ამხანაგური მეურნეობა, რომელიც აგებულია საერთო ქონებასა და შეერთებულ შრომაზე

**ზონა**—ზოლი, ხაზი, მიწის სივრცე.

# ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ.

### ᲮᲐᲜᲓᲐᲙᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ.

რომ ბრძოლაში ცეცხლი მომქმედი და მარჯვე იყოს, საჭიროა შეტხანისათვის დასაყრდნობი და მსროლელისათვის საფარი. პატარა ბორცვი, ქვა, კედელი, მორი, ხე და სხვა ასეთი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც დასაყრდნობად ისე საფარად. მაგრამ როგორ უნდა მოიქცე იმ შემთხვევაში, როცა მოგიწევს მოქმედება (შეტევა, მოგერიება და სხვა) სრულიად გაშლილ ადგილზე, სადაც არაა არც ბორცვი, არც ქვა. აი, ასეთ შემთხვევისთვის მეომარს აქვს ბარი, რომლის საშუალებით მას ყოველთვის შეუძლია გააკეთოს პატარა საფარი ან ორმო. რამოდენიმე ბარი მიწა საკმარისია დასაყრდნობისა და საფარის დასამზადებლად. ამას ეწოდება ხანდაკობა ე. ი. თვითეული მეომარი იკეთებს პატარა სანგარს.

წარსულ ომებმა დაგვანახა, რომ იქ, სადაც ჯარები არ მიმართავდენ ხანდაკობას, ისინი დიდ ზარალს განიცდიდენ და მარცხდებოდენ.

საბრძოლო გარემოების ყოველ შემთხვევაში ხანდაკობა აუცილებელია. ავიღოთ მაგალითისთვის შეტევა. დღეს შეტევის წარმოება შეუჩერებლად შეუძლებელია, ვინაიდან ცეცხლი იმდენად ძლიერია, რომ რამოდენიმე წუთის განმავლობაში შეტევაზე გადასული ნაწილი დიდ ზარალს იგემებს და შეიძლება სრულიადაც განადგურდეს. ამიტომ ამჟამად შეტევა სწარმოებს ნახტომებით, შესვენებით. ჯერ ერთი ჯგუფი წაიწევს წინ და დაიკავებს მოხერხებულ ადგილს, მანამ პირველი ჯგუფი ადგილზე მივიდოდეს მეორე ჯგუფი ეხმარება მას მტრის წინააღმდეგ ცეცხლის გაშვებით. შემდეგ მოძრაობს მეორე ჯგუფი და პირველი ეხმარება მას ცეცხლით და ასე შემდეგ. ასეთი მოძრაობა ხანგრძლივი არაა. რომ ეს დახმარება ნაყოფიერი იყოს და მტერმა ზარალი არ მოგვაყენოს, საჭიროა ხანდაკობა. ხშირად, შეჩერება საკმაო ხანგრძლივია. ასეთ შემთხვევებში პატარა ორმო თანდათან უნდა გაღრმავდეს ისე, რომ შეიძლებოდეს სროლა დაჩოქით, ხოლო თუ დრო საშუალებას იძლევა, გაღრმავებულ უნდა იქნას მეომრის სიმაღლემდისაც. ცალკეული სანგრები თანდათან შეუერთდებიან ერთმანეთს და გაკეთდება სანგარი ჯგუფისთვის (ათეულის, ოცეულის, ასეულის).

უნდა გვახსოვდეს, რომ ხანდაკობის დროს ისე, როგორც ბორცვის, თხრილის, ღობეს ან სხვა ადგილობრივ საგნების გამოყენების დროს, უნდა ვიზრუნოთ პირველ ყოვლისა სროლის მოხერხებულობაზე, ხოლო შემდეგ კი თავის დაფარვაზე (პირად უზრუნველყოფაზე).

3.

# ᲓᲔᲙᲐᲑᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ.

(დასასრული).

1824 წელს, ბესტუჟევ რუმინმა, პესტელმა და სხვებმა გადასწყვიტეს მეფის მოკვლა, ამბოხების მოხდენა ჯარში, შემდეგ მოსკოვზე და კიევზე შეტევა, რომელნიც პეტერბურგის შემდეგ პირველ დიდ ქალაქებად ითვლებოდენ და გადამწყვეტ როლის თამაში შეეძლოთ, რადგან დეკაბრისტები აპირობდენ გადატრიალების მოხდენას თავიდან, წყაროს დასაწყისშივე, მაგრამ ეს გეგმა ჩაიშალა.

კავშირის წევრები ზოგი კმაყოფილდებოდა დამფუძნებელ კრების მოწვევით, ზოგი კი რესპუბლიკის დაარსებას აპირებდა, (მაგ. პესტელი), მაგრამ მათი საერთო მიზანი იყო თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის მოსპობა, დამხობა.

ამბოხების დაჩქარებას უფრო მოითხოვდენ პესტელი—1825 წ. იანვარში და რილეევი იმავე წლის მაისში.

ისინი ემხადებოდენ, მაგრამ გარემოებამ აიძულა დეკემბერში გამოსულიყვნენ.

1825 წ. მეფე ალექსანდრე I მოსდის საიდუმლო დაბეზღების ქალიდი (უნტერ-ოფიცერ შერვუდისაგან), რომელიც აცნობებდა ფარულ საზოგადოების არსებობას და წევრთა ვინაობას. გამოჩნდენ სხვა ჯაშუშებიცა და მთავრობამ მაგრად მოჰკიდა ხელი ამ საქმეს, ხელთ იგდო „სამხრეთ საზოგადოების" წევრები, პესტელიანად. აჯანყების დაყოვნება აღარ შეიძლებოდა და დანარჩენმა წევრებმა იმავე დღეს, სენატის მოედანზე, პეტერბურგში აფრიალეს აჯანყების დროშა.

ამ ხანებში მოკვდა მეფე ალექსანდრე, რომლის მაგივრად ტახტზე ავიდა ნიკოლოზ I და ჯარს უნდა მოეღო ერთგულების ფიცი; აი ეს გარემოება გამოიყენეს შეთქმულებმა; მათ გადასწყვიტეს არ მიეღოთ ფიცი და ჯარები გამოიყვანეს ყაზარმებიდან.

ეს მოხდა 14 დეკემბერს დილით, სენატის მოედანზე.

მომზადებულმა მთავრობამ მათ მიუსია ცხენოსანი გვარდიელები, კავალერია, მაგრამ აჯანყებულებმა დაამარცხეს ისინი, მოიგერიეს, გაჰფანტეს; მაშინ მიუშვეს არტილერია, კარტეჩი, რამაც აიძულა აჯანყებულნი დაეხიათ უკან, გაყინულ მდინარე ნევაზე, სადაც ზარბაზნებით გაანადგურეს მეამბოხე რაზმები, რომელთაც წინააღმდეგობა ვეღარ გასწიეს.

ამბოხება ჩააქრეს, მრავალი ხალხი დააპატიმრეს და ხელთ იგდეს თითქმის ყველა საიდუმლო ორგანიზაციები...

1826 წელს კი, 13 ივლისს, აჯანყებულთა მეთაურებს: სერგეი მურავიოვ-აპოსტოლს, პეტრე კახოვსკის, მიხეილ ბესტუჟევ-რუმინს, პავლე პესტელს და კონდრატი რილეევს, გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა—ჩამოხრჩობა, რომელიც ულირს სასჯელად ითვლებოდა სამხედრო პირისათვის, რადგანაც ჩამოხრჩობით მხოლოდ სამოქალაქო პირს სჯიდენ და სამხედროებს კი დახვრეტით.

განაჩენი იმავე დღეს მოიყვანეს სისრულეში.

ყველანი წარბ-შეუხრელად ავიდენ სახრჩობელაზე და წინასწარმეტყველებდენ მათ მიერ დაწყებულ საქმის ბრწყინვალეთ დაგვირგვინებას...

დანარჩენი დეკაბრისტები, რომელთა რიცხვიც ძალიან ბევრი იყო, სხვადასხვა ვადით და უფრო კი სამუდამოდ გამოამწყვდიეს ციხეებში, გაგზავნეს კატორღაში და გადაასახლეს ციმბირში და კავკასიაში.

კავკასიაში ისინი ჩარიცხულ იქნენ აქ მდგომ ჯარებში, რომლებიც გამუდმებულ ომებს აწარმოებდა თავისუფლების მოყვარულ მთის დასაპყრობათ, მათ პირველ რიგებში გზავნიდენ, რომ სიკვდილი არ ასცდენოდათ.

ციმბირის აუტანელმა ყინვებმა, პირობებმა და კავკასიაში განუწყვეტელ ომებმა ეს პირველი გმირები რევოლიუციისა—დეკაბრისტები—დაადნო გაანადგურა, მაგრამ მათი დაწყებული საქმე მშრომელმა ხალხმა—მუშებმა და გლეხებმა, წითელ არმიის დარტყმამ მიიყვანა გამარჯვებამდის წითელი ოქტომბრის ძლევამოსილ ყიჟინით.

საქართველოში გადმოსახლებულმა დეკაბრისტებმა მაშინ დიდი გავლენა იქონიეს ქართველ საზოგადოებრივ აზრზე; მათ ბევრი მეგობრები გაიჩინეს ქართველ ინტელიგენციაში, ისინი ხშირად დადიოდენ ქართულ ოჯახებში, ყველაზე ახდენდენ თავის გავლენას...

ბევრი გამოვიდა მათი რევოლიუციონური აზრით ამეტყველებული, მაშინდელი ქართველი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, (სოლომონ დოდაშვილი-ქართველი—დეკაბრისტი, ციმბირში გადაასახლეს, პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი და მრავალი სხვები). ქართველი დეკაბრისტები ბევრნი იყვნენ როგორც საქართველოში, ისე პირდაპირ აჯანყებაში მონაწილენი.

დღეს, ასი წლის თავზე, ვიგონებთ რა რევოლიუციის პირველ მსხვერპლებს, დეკაბრისტებს, მათსავე სისხლში განბანილ წითელ დროშებს, ეხლა გამარჯვების გზაზე ფრთების ამაყი აქნევით მოფრიალეებს, ოდნავ ძირს ვხრით საპატივცემოდ...

# ᲨᲔᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔ ᲡᲐᲧᲐᲠᲐᲣᲚᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ.

### ᲧᲐᲠᲐᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲐ.

ყარაულების დანაწილება სწარმოებს გარნიზონის უფროსის მიერ განსაზღვრულ ადგილზე და დანიშნულ საათზე.

ვინაიდან არც ერთი ყარაული არ უნდა დარჩეს გამოუცვლელად ერთ დღე და ღამეზე მეტი, ყარაულების დანაწილება ხდება ყოველ დღიურად.

ყარაულების დანაწილების წესი მდგომარეობს იმაში, რომ 15 წუთით წინ დანაწილებამდი გარნიზონის ყველა ყარაულები უნდა იქნან ჩამწკრივებული დანაწილების ადგილზე. ყარაულების მორიგეს თანაშეწე ღებულობს ყარაულებს თავის განკარგულებაში და აწყობს მათ ერთ ხაზზე.

ყარაულები ერთმანეთზე დაშორებულია სამ სამი ნაბიჯით. თვით ყარაულების მორიგე დგება ყარაულების მთელი მწკრივის მარჯვენა ფრთაზე.

ყარაულის დანაწილებას ახდენს ყარაულების მორიგე, რომელიც ინიშნება გარნიზონის უფროსის მიერ რიგის მიხედვით.

ყარაულის მორიგის მოახლოების დროს ყარაულის მორიგის თანაშეწე იძლევა განკარგულებას „სმენა". შემდეგ ყარაულების მორიგე სინჯავს ყარაულების განწესების სისწორეს, ტანისამოსის ფორმას და ყარაულის წითელ არმიელთა ცოდნას საყარაულო საქმეში.

როცა დარწმუნდება, რომ ყარაულში დანიშნულ პირებმა კარგად იციან თავიანთი მოვალეობა და ყველაფერი წესრიგზეა, ყარაულების მორიგე იძლევა განკარგულებას: „ყარაულის უფროსებო შუა ალაგას".

როცა ყარაულის უფროსები გავლენ შუა ალაგას და დაეწყობიან ყარაულების მორიგეს წინ, უკანასკნელი გადასცემს მას გასანდოს და ერთხელ კიდევ მოაგონებს იმ მოვალეობათა შესახებ, რომლებიც მათ ეკისრებათ.

იმ მომენტში, როცა ყარაულის უფროსებს გადაეცემათ გასანდო, ყარაულები გადადიან ახალი ყარაულების მორიგეს განკარგულებაში.

გასანდოს გადაცემის შემდეგ ყარაულების მორიგე იძლევა განკარგულებას: „ყარაულის უფროსებო თავიანთ ალაგას".

ხოლო შემდეგ კვლავ იძლევა განკარგულებას: „მარჯვნისაკენ, მხარზე, საყარაულოებზე ნაბიჯით იარ".

ამ განკარგულებაზე ყველა ყარაულები მიდიან თავიანთ ადგილებისკენ და იწყება ძველი ყარაულების გამოცვლა.

ი. ბ.

# ᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲑᲐ ᲛᲔ-1000 ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲐ. ᲡᲐᲛᲮᲙᲝᲠᲝ! ᲓᲐᲐᲩᲥᲐᲠᲔ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ, ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲐ.

## ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ. 1905-ᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲘᲡ 20-ᲪᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ.

მე-3-მე ლეგიონი.

1905-თი წლის რევოლიუციის 20-ცი წლის თავის აღსანიშნავად მე 3-მე ლეგიონში გამართული იყო საზეიმო საღამო ლეგკლუბში, სადაც დაესწრო წითელ არმიელებს გარდა მრავალი მუშა-მოსამსახურებიც. მთელი დარბაზი იყო ხალხით გაჭედილი. 1905-თი წლის რევოლიუცის 20-ცი წლის თავის აღსანიშნავად წარმოთქვა მრავალი სიტყვები, როგორც ადგილობრივი მომხსენებელისაგან ისე მუშა-მოსამსახურებისაგან, რომლებმაც ნათლად დაახასიათეს 1905-თი წლის რევოლიუციის ამბები და მისი მნიშვნელობა.

მოხსენებები გაგრძელდა მთელი ოთხი საათი. მოხსენების გთავების შემდეგ დადგმული იქნა ადგილობრივი ძალებით რევოლიუციონური პიესა „პირველი ზარი რევოლიუციის წინ“ და კომედია „გამარჯვებულებს არა სჯიან“.

წარმოდგენის გათავების შემდეგ წარმოთქმულ იქნა ცოცხალი გაზეთები და ლექსები.

აღსანიშნავია ის რომ წითელარმიელების მიერ მოწყობილი წარმოდგენა საღამოებს მუშა-მოსამსახურები დიდ ყურადღებას აქცევენ და ცდილობენ მიიღონ მათთან ერთად ყოველ წარმოდგენა-საღამოებში აქტიური მონაწილეობა. ყოველ საღამოების ჩატარების დროს მუშა-მოსამსახურეები დაუზარებელი სტუმრებია ჩვენი.

სამხკორი ნიკა.

## 1905 ᲬᲚᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲘᲡ 20 Წ. ᲗᲐᲕᲘ.

3-ᲛᲔ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘ.

19 დეკემბერს ლეგიონის კლუბში მოწვეული იქნა ლეგიონის მთელი შემადგენლობის გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრენ სამოქალაქო და სხვა სამხედრო ორგანიზაციებიდან მოწვეული სტუმრები.

საზეიმო სხდომა გახსნა ამხ. შავლაძემ და მისასალმებელი სიტყვითაც მიმართა კრებას. მოიგონა 1905 წ. მოძრაობაში დაღუპული მებრძოლები და სთხოვა დამსწრეებს ფეხზე ადგომით პატივი ეცათ მათი ხსოვნისათვის.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით და მოგონებებით გამოვიდნენ მუშათა ორგანიზაციებიდან. ამხანაგებმა ბევრი საყურადღებო ფაქტები მოიყვანეს და წყევა-კრულვა შეუთვალეს მეფის თვითმპყრობელურ-ჯალათებს და მათ დროს.

დასასრულ უფრო ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. ომეზური.

ბოლოს დაიდგა წარმოდგენა მსახიობ გომელაურის ხელმძღვანელობით. საღამო საკმაოდ მწყობრად იქნა ჩატარებული.

სამხკორი კენჭაძე.

## ᲕᲘᲜᲐᲮᲣᲚᲔᲗ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ.

1-ლი საარტილერიო ლეგიონი.

28 დეკემბერს ლეგიონის წით. არმიელები წაგვიყვანეს რევოლიუციის მუზეუმის დასათვალიერებლად.

წითელ არმიელებს ძლიერ უხაროდათ. გვაინტერესებდა ჩვენი მოძმე მშრომელი ხალხის რევოლიუციონური წარსულის გაცნობა, მათი ნამოღვაწარის ნახვა და მათი თავდადებული ბრძოლა მტარვალების წინააღმდეგ.

რამდენი ფურცლები—პროკლამაციები, ბროშურები ვნახეთ. რევოლიუციონერების სურათები, „ოხრანკის“ ჯალათები და გამცემი-ჯაშუშები.

წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე იმ სურათებმა, სადაც ნაჩვენებია, თუ როგორ აწვალებენ—სცემენ და სახრჩობელაზე აყავთ თავისუფლებისათვის მებრძოლი რევოლიუციონერები. საერთოდ ამ ექსკურსიამ ძლიერ დაგვაკმაყოფილა. მოუწოდებთ ყველა ჩვენს სამხედრო ნაწილებს, ვისაც აინტერესებს რევოლიუციონური მოძრაობის გაცნობა ყველამ, გაეშურონ რევოლიუციის მუზეუმში.

სამხკორი კვირიკაშვილი.

## ᲡᲐᲛᲮᲙᲝᲛᲘ ᲒᲕᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ.

ცხენოსანი ლეგიონი.

ცხენოსანი ლეგიონის სამხკომი დიდ დახმარებას გვიწევს წითელარმიელებს. ის დაინტერესებულია ჩვენი ცხოვრებით, მოდის ჩვენთან ხშირად და გვეკითხება თუ რა გვესაჭიროება, რა გვაწუხებს და იძლევა სათანადო რჩევა-დარიგებებს. ეს ხდება ყოველ მეორე-მესამე დღეს სისტემატიურად. ხშირხშირად იწვევს ამხანაგი ესკადრონის წითელარმიელთა გაერთიანებულ კრებებს, ეკითხება მათ თუ როგორ დამოკიდებულებაში არიან მათთან მეთაურები და რაიმე გაუგებრობას თუ დაურჩა ადგილი მყისვე ღებულობს სათანადო ზომებს. ჩვენი გულწრფელი მადლობა ამხ. სამხკომს ჩვენდამი ასეთი ყურადღებისათვის.

სამხკორი პ. ნადარეიშვილი.

## ᲒᲣᲚᲛᲝᲓᲒᲘᲜᲔᲗ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲔᲜ.

1-ლი ლეგ. მე 4 ასეული.

ასეულის შევსების შემდეგ ახალწვეულებიდან, ნაწილში ძლიერ გამოცოცხლდა მუშაობა. ახლად მოსულებმა თავიდანვე მჭიდროდ ჩაჰკიდეს ხელი მეცადინეობას და ამ თვენახევრის განმავლობაში საგრძნობ შედეგებსაც მიაღწიეს.

ამხანაგები ძლიერ გაიწაფენ სამხედრო და პოლიტიკურ ცოდნაში. დიდი ყურადღებით ექცევიან აგრეთვე კულტურულ საქმიანობასაც.

ხშირად მეცადინეობის შემდეგ ამხანაგები ერთი-მეორეს იწვევენ კამათში და თუ რომელიმე წამოჭრილ საკითხში ვეღარ გაერკვევიან, მიაშურებენ მეთაურებისაკენ, რომლებიც სიამოვნებით უწევენ დახმარებას.

სულ მალე, ჩვენს ასეულს ეყოლება საგრძნობლად მომზადებული წით. არმიელები და ჩვენც შევსძლებთ გაუთანასწორდეთ ამ მხრივ წინ წასულ სხვა ნაწილებს.

წ. არმ. ლეგ. ძნელაძე.

## ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲛᲝᲕᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲗ.

მე-6 ტერ-ლეგიონის უნცროს მეთაურთა სკოლა.

ჩვენს სკოლაში შედის ოთხი ოცეული.

მეცადინეობა გვაქვს დღეში 8 საათი პოლიტიკური, სამხედრო და სასკოლო დარგებიდან.

უნდა ვსთქვათ რომ ჩვენი მეთაურები და აგრეთვე პოლიტ-ხელები არავითარ შრომას, არ ზოგავენ ჩვენს გასათვითცნობიერებლად.

ისინი გვიხსნიან დეტალურად და მკაფიოდ ყოველივე გაუგებარს.

პირველად ჩვენი ჩამოსვლის დროს არ ვიცოდით თუ რა იყო კალამი ან სკოლა. როცა დავიწყეთ და შეუდექით სწავლას პირველად დაგვირიგეს რვეულები და სხვა და სხვა სამოსწავლო ნივთები, მოვკიდეთ ხელი სწავლას და ყურადღებით უსმენთ ჩვენს მასწავლებლებს.

გარდა ამისა ჩვენს სკოლაში კარგად არის დაყენებული წრეების მუშაობაც, როგორიც არის პოლიტ-ბირთვი, მკითხველთა ბირთვი, სამხკორთა, დრამატიული, და მომღერალთა წრეები. ყველა წრეში კურსანტები ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას. ყველა ჩვენთაგანი გამოდის ხშირად და აკეთებს მოხსენებას დავალებულ თემაზე. ასეთმა მუშაობამ გამოიღო სათანადო ნაყოფი და ამჟამად ყველა ჩვენთაგანი გრძნობს წინსვლას ყოველ დარგში.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ არ შევარცხვენთ ჩვენს მასწავლებლებს და კარგათ ჩავაბარებთ გამოცდებს.

ახალწვეული ა. ანტონოვი.

## ᲬᲕᲔᲕᲐᲛᲓᲔᲚᲗᲐ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲢᲔᲑᲖᲔ.

### ᲛᲔ-6-Ე Ქ. Მ. Ტ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲬᲕᲔᲕᲐᲛᲓᲔᲚᲗᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

წვევამდელებთან მეცადინეობა დაიწყო 1-ლ დეკემბრიდან.

შედარებით წარსულ წელთან, წვევამდელები კარგად შეეგებენ შეკრებას, ეტყობათ, რომ დაინტერესებული არიან სამხედრო საქმის შესწავლით. წვევამდელთა შორის კომ. კავშირლები 40 პროც. არის.

პირველსავე დღეს მოხდა კომ. კავშირელთა პარტიის წევრთა და კანდიდატთა საერთო კრება, რომელზედაც დაარსებული იქნა კოლექტივები და აირჩიეს ბიურო. ბიუროს არჩევის შემდეგ მოხდა წერტების გაერთიანებული კრებები, სადაც გაკეთებულ იქმნა მოხსენება წვევამდელთა მომზადების მნიშვნელობის შესახებ, ამავე კრებაზე არჩეულ იქმნა კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია. ბიურო კოლექტივებმა შეადგინეს თავ-თავიანთ მუშაობის გეგმები, სადაც გათვალისწინებულია შეკრების დასრულებამდე ბიუროს მუშაობა და წინასწარ შემუშავებულია საკითხები, რომელნიც უნდა გაირჩეს მთელ შეკრების პერიოდში.

ეროვნული შემადგენლობა სხვა და სხვა წერტებზე სხვადასხვა გვარია: 1-ლ წერტზე 50 პროც. ქართველია, 20 პროც. რუსი, 20 პროც. სომეხი და 10 პროც. სხვა ეროვნებიდან. 2-წერტზე 35 პროც. ქართველია, 10 პროც. რუსი, 35 პროც. სომეხი და 20 პროც. სხვა და სხვა, 3-ე წერტზე 50 პროც. ქართველი, 30 პროც. რუსი, 15 პროც. სომეხი და 5 პროც. სხვა და სხვა. 4-ეზე 50 პროც. სომეხი, 20 პროც. ქართველი, 20 პროც. რუსი და 10 პროც. სხვა და სხვა.

როგორც სამხედრო ისე პოლიტიკური სწავლება სწარმოებს თავიანთ ენებზე. პოლიტხელები გამოყოფილია კომ. კავშირის წევრებისაგან წვევამდელთა რიგებიდან. პოლიტსაათზე სამეცადინოთ წვევამდელები დაყოფილი არიან ცოდნისდამიხედვით ჯგუფებად, თითეულ ჯგუფში ირიცხება 50-დე წვევამდელი.

პოლიტ-ხელებს შემოღებული აქვს დღიურები, სადაც აღნიშნავენ ჩატარებულ თემას, რამდენი დაესწრო, თუ რა საინტერესო შეკითხვები იყო მსმენელების მიერ მიცემული და პოლიტსაათის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ტეხნიკურ საშვალებათა უქონლობის გამო, როგორიცაა, უმთავრესად ოთახები ჯგუფებისათვის, აფერხებს პოლიტსაათის თავის დონეზე დაყენებას, მაგრამ მიუხედავად ამისა მეცადინეობა მაინც დამაკმაყოფილებელია.

დისციპლინა წვევამდელთა შორის საუცხოვოა. განწყობილება მეთაურთა, პოლიტ-შემადგენლობის და წვევამდელთა შორის კარგია. ლენინის კუთხეებში კომკავშირელები აწყობენ ხმა მაღალ კითხვას გაზეთებიდან და წიგნებიდან რიგრიგობით.

ზოგი ერთ წერტზე ოთახების უქონლობა ხელს უშლის სკოლის გარეშე მუშაობის 100 პროც. გატარებას. ზოგიერთ წერტზე მოისუსტებს აგრეთვე კოლექტივების მუშაობა, მაგრამ მუშაობის გასაძლიერებლად, სამხკომის მიერ მიმაგრებულია ყველა წერტებზე პოლიტ-მომუშავეები.

პარტდისციპლინის დარღვევას ზოგიერთ წერტზე ქონდა ადგილი, რაზედაც კოლექტივმა მიიღო შესაფერი ზომები. საერთოდ მუშაობა თანდათანობით ძლიერდება და თავის სიმაღლეზე დგება.

გოგაძე.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ცალკე ცხენოსანი ესკადრონის უჯრედი.

ამას წინად შესდგა მე-2 ქართ. დივიზიის ცალკე ცხენოსანი ესკადრონის კომუჯრედის კრება, ახკომკავშირთან ერთად. კრებამ მოისმინა მოხსენება დისციპლინის შესახებ. მოხსენებაში ვრცლად იქნა გაშუქებული სამხედრო და მასთან დაკავშირებით პარტდისციპლინა და მათი მნიშვნელობა წითელი ჯარის რიგების სიმტკიცისათვის. ამხანაგმა მომხსენებელმა მოუწოდა პარტიულ ამხანაგებს მტკიცედ შეასრულონ სამხედრო დისციპლინა და ამით მაგალითი უჩვენონ უპარტიო წითელ არმიელებს.

მოხსენების ირგვლივ გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, რომელშიდაც ფიცს სდებენ ამხანაგები დაიცვან სამხედრო დისციპლინა და ხელი შეუწყონ წითელარმიელთა ფართო მასაში მის განმტკიცებას.

პარტკორი ცხომელიძე.

სამხ. პოლიტსკოლა

10 დეკემბერს შესდგა ქართული სამხ. პოლიტსკოლის ახ. ლ. კ. კ. უჯრედის მორიგი კრება. კრებას დაესწრო ყველა წევრები. კრებას არაჩვეულებრივი ხასიათი ქონდა. მოხსენება გააკეთა კურსანტ ესებუამ, საქართ. ახ. ლ. კ. კ. მე-5 პლენუმის შედეგების შესახებ. მომხსენებელმა დაწვრილებით გაგვაცნო პლენუმის მუშაობა.

პლენუმის გამომუშავებულ გეგმამ თავის დროზე მოგვისწრო ჩვენი უჯრედების ზოგიერთ უარყოფითი მხარეების აღმოსაფხვრელად.

ბოლოს კრებამ განიხილა განცხადება ახ. ლ. კ. კ. წევრის ამხ. ცინაძის კომ. პარტიის კანდიდატათ გადარიცხვის შესახებ. კრებამ შუამდგომლობა აღძრა კომპარტიის უჯრედის წინაშე აღნიშნული ამხ.-გის კომპარტიის კანდიდატად გადარიცხვის შესახებ.

კურსანტი მუშკუნა.

## ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲐᲓ ᲓᲐᲕᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ.

მარტყოფის წერტი.

დეკემბრის 1-ლ რიცხვებში მეთაურთა შემადგენლობა წვევამდე მზადების დასაწყებად გამოცხადდა მარტყოფის წერტზე. ამ თემის აღმასკომის თავმჯდომარემ აღმოგვიჩინა ჯეროვანი დახმარება და მოგვცა წერტის საჭიროებისთვის შესაფერი ბინა.

პირველ ხანებში ჩვენი ბინა მოუწყობელი იყო; არა გვქონდა საწოლები, სკამები და არც მაგიდა, ამ მოუწყობელ შენობაში დავიწყეთ მეცადინეობა.

მეცადინეობის დაწყების წინ მოხსენება გააკეთა წერტიის მეთაურმა ამხ. ზატბერაშვილმა, იმის შესახებ თუ რა მნიშვნელობა აქვს წვევამდელთა მომზადებას, რომელსაც დამსწრე წვევამდელები აღფრთოვანებით შეხვდნენ და დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მათზე.

დეკემბრის 3 რიცხვში ჩვენ წერტზე გვესტუმრა გარე კახეთის წერტების პოლიტიკური ხელმძღვანელი ამხ. ბახტაძე, რომელმაც მოხსენება გააკეთა ჩვენთან, თუ რა მნიშვნელობა აქვს წვევამდელთა, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ მომზადებას. ამასთანავე ერთად მან მოაწყო წერტზე ლენკუთხე და ჩამოაყალიბა სხვა და სხვა ბირთვები. დროთა განმავლობაში ჩვენი წერტის მდგომარეობაც გაუმჯობესდა. თუ პირველათ მოუწყობელი ბინის მეტი არაფერი გვქონდა, ეხლა ყველასფრით მოწყობილი ვართ. უკვე ერთი თვე სრულდება, რაც შეუწყვეტელი მეცადინეობა სწარმოებს ხსენებულ წერტზე. წვევამდელები დიდ დაინტერესებას იჩენენ, რომ კარგათ შეითვისონ, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური ცოდნა. მიუხედავად შორი მანძილიდან სიარულისა წვევამდელები მაინც უკლებლად ესწრებიან მეცადინეობას.

თუ ჩვენს მუშაობას ხელი არ შეუშალა რაიმე პირობებმა დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მეცადინეობა ხსენებულ წერტზე დიდ ნაყოფს მოგვცემს.

წ. ა. ს. ჯულაყიძე.

# არც ჩვენ ჩამოვრჩებით სხვებს.

**ველისციხის წერტი.**

5 დეკემბრიდან დავიწყეთ სოფ. ველისციხეში 1904 წელში დაბადებულ წვევამდელებთან მეცადინეობა. ამჟამად მეცადინეობა სისტემატიურად სწარმოებს პროგრამის მიხედვით. საუბრის ჩატარების დროს ამხანაგები მეტის მოწიწებით უსმენენ, იძლევიან მრავალ შეკითხვებს და მოითხოვენ ყოველივე საკითხის ფართედ გაშუქებას. წვევამდელთა უმრავლესობა სამეცადინო დროს ცდილობს, ყველა იმასა სცდილობს, რომ ამ მოკლევადიან სამეცადინო დროს განმავლობაში კარგად შეითვისონ და შეისწავლონ ყოველივე გადაცემული. ისინი დიდი ყურადღებით ეპყრობიან სამხედრო საქმეს. გარდა კანონიერი მეცადინეობისა წვევამდელები თავისუფალ დროსაც კოლექტიურად მეცადინეობენ.

დისციპლინა პირველ დაწყებისას ვერ იყო კარგი, ზოგიერთი ამხანაგები არ ღვევდნენ წესრიგს.

ამჟამად დისციპლინის დარღვევას ადგილი არა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი ახალგაზრდა 3-4 ვერსით არის დაშორებული წერტზე, მეცადინეობას მაინც არ აკლდებიან და ყოველთვის თავის დროზე ცხადდებიან წერტზე.

დილის ზარის მიცემისას ყველა როგორც ერთი მიისწრაფის წყობილებისაკენ.

წერტზე უკვე მოვაწყვეთ ლენინის კუთხე. კუთხე გავხსენით საზეიმო კრებით. კრებას დაესწრენ მთელი რიგი წვევამდელებისა, ადგილობრივი კ. კავშირლები და უპარტიო ახალგაზრდობა. გაშუქებულ იქმნა დამსწრეთათვის ლენინის კუთხის მნიშვნელობა ამხ. ვ. არაქელოვის მიერ. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ მეთაური ამხ. ბარამიძე და სხვები. კრების შემდეგ ზეიმის აღსანიშნავად მოეწყო შემდეგნაირი გასართობები: კახურ სიმღერებზედ ცეკვაობა, მოკლე გამოცანები, სახუმარო მოთხრობები და პოლიტიკური აუქციონი. აუქციონში გათამაშებულ იქნა ორი წიგნი ლენინის თხზულებანი.

წერტზე გამოვყავით აგრეთვე ა. ლ. კ. კ. წევრებიდან დამხმარე ჯგუფი, რომელიც თავისი მუშაობით კარგ დონეზედ სდგას. ჯგუფის წევრები გვეხმარებიან ლენ-კუთხის მუშაობაში, ჟურნალ-გაზეთების და წიგნების ხმა მაღალი კითხვაში და სხვა.

სამხკორი ე. სესიაშვილი.

# მოსპეთ ნაკლულევანებანი

**გაგვინათეთ სასადილო.**

**მე-4 ლეგიონი.**

ლეგიონში ეს რამოდენიმე ხანია, რაც სასადილო ბნელში იმყოფება, ვახშმობის დროს უსინათლობის გამო წითელ არმიელებს გარეთ უხდებათ გამოსვლა და სიცივეში ჭამა. ზოგიერთი ამას მთლად უჭმელობასაც არჩევს და უვახშმოთ რჩება. არა ერთხელ მივმართეთ ამის შესახებ სათანადო ადგილს, მაგრამ ყურადღება დღემდე არ მოგვექცა.

საჭნეო ნაწილის უფროსო მოაგვარე ეს საქმე. გაგვინათე სასადილო.

სამხკორი ა. ქავთარაძე.

**დაპირებას შესრულება უნდა.**

**ტფილისის მაზრის სამხედრო კომის. საყურადღებოთ.**

3 დეკემბრის დეკრეტის № 1609 თანახმად, მაზრის სამხედრო კომისარიატი შეჰპირდა დღიური ულუფის მაგიერ ფულით დახმარებას იმ წვევამდელებს, რომლებსაც არა გვაქვს გამოკვებისათვის არავითარი საშვალება.

მიუხედავად დაპირებისა დღემდე არაფერი მიგვიღია და არც რაიმე ისმის ამის შესახებ.

კარგი იქნებოდა კომისარიატი დროზე მოგვეშველებოდეს და შეასრულებდეს თავის დაპირებას.

წვევამდელი ბესიკო.

**მიხედეთ საკომენდანტოს.**

**ქალ. ქუთ. კომენდანტის საყურადღებოთ.**

ქუთაისის საკომენდანტში გუშაგებათ ინიშნებიან წით. არმიელები ადგილობრივი ლეგიონებიდან. საკომენდანტოს არა აქვს საათი, რაც აუცილებელია მისთვის და ურომლისოდაც ძლიერ უძნელდება არმიელებს სათანადო დავალების თავის დროზე ასრულება.

ხშირად შეხვდებით ყარაულის უფროსს, რომ დროს გასაგებათ დაიარება სხვა და სხვა დაწესებულებებში, რაც ძლიერ უხერხულ მდგომარეობაში გვაგდებს.

მიხედეთ საკომენდანტოს, შეიძინეთ ერთი საათი.

სამხკორი ვ.—კრული.

**მნევ, მოგვაქციე ყურადღება.**

**1-ლი არტლეგიონი.**

ლეგიონის წითელ არმიელების ნაწილს ჯერაც არ მიუღიათ ტანსაცმელი, რომელიც უკვე მოტანილია ლეგიონში. არ ვიცით რას უცდის მნე, არავითარ ზომებს არ ღებულობს არმიელების შესამოსავად. მოგვეცით ტანსაცმელი.

წ. არმ. გრ. ბარათაშვილი.

# ვინ იქნება შემდეგი?

თანახმად ამხ. ა. ხუხუას გამოწვევისა, ვიწერ გაზეთ „წითელ არმიელს“ ორი თვით და ამავე მიზნისათვის ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: 1. პოლიტხელს ამხ. საათაშვილს, 2. პოლიტხელს ამხ. ხარბედიას, 3. ორგანიზატორს ამხ. დიდიძეს, 4. სამხკომს ამხ. ჯანგველაძეს, 5. პოლიტ-სკოლის საქმის მწარმოებელს ამხ. ა. ბადურაშვილს, 6. ლექტორს ამხ. აბულაძეს, 7. პოლიტ-ხელს ამხ. სანიკიძეს, 8. პოლიტ-ლექტორს ამხ. მაისაიას, 9. პოლიტ-ხელს ამხ. ცოტაძეს, 10. პოლიტ-ხელს ამხ. შონყაძეს და 11. პოლიტ-ხელს ამხ. ხუჭუას.

პოლიტ-ხელი გ. ლეჟავა.

—

ამხ. ქუთელის გამოწვევაზე ვიწერ გაზეთ „წითელ არმიელს“ ორი თვით და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

ქართ. სამხედრო პოლიტ-სკოლიდან სკოლის უფროსს ამხ. ნადირაძეს, სამწყობრო ნაწილის უფროსს ამხ. კაკნაძეს. პოლიტ-განყოფილებიდან ამხ. ვალოდია თავართქილაძეს. მე-3 ლეგიონიდან—ლეგ-თავს ამხ. კუპრაშვილს, სამხკომს ამხ. შალვაძეს და შტაბის უფროსს ამხ. ნოდიას. პოლიტ-ხელებს: მე-6 ლეგიონიდან ამხ. გვიჩიას, მე-2 ლეგიონიდან ამხ. ამხ. მიმინოშვილს და შოვნაძეს.

მე-3 ლეგიონის მე-8 ასეულის პოლიტხელი

ვ. როდონაია.

ამხ. პ. წერეთლის გამოწვევის გამო, ვიწერ „წითელ არმიელს“ ერთი თვით და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

1) სავლე გოგიჩაიშვილს, 2) შალიკო როსნაძეს, 3) მიხეილ მათიაშვილს, 4) დ. ყანჩაველს, 5) აგ. ბერიძეს, 6) მ. ხაინდრავას, 7) პ. არდულიანს, 8). ლ. ალავიძეს, 9) დ. ალავიძეს, 10) ნ. ბეთანელს, 11) ქ. ქინაძეს, 12) დათიკო საგანელიძეს და 13) აბბაკო ტოროშელიძეს.

წვ. გრ. ბრეგვაძე

**მოგვეცით განათება.**

**ქართ. ცხენოს. ლეგიონი.**

ლეგიონის საგუშაგოზე არა გვაქვს განათება. საგუშაგოები კარგა მანძილზე არიან ერთმანეთიდან მოცილებული და უსინათლობის გამო ერთმანეთთან კავშირი უხერხულია. სხვა მრავალი დაბრკოლებებიც გვეღობება წინ ამის გამო. ასეთ მდგომარეობაში კიდევ გაჩერება შეუძლებელია. დროა ვისაც ეს შეეხება მიიღოს ზომები და გაგვინათონ საგუშაგოები.

სამხკორი მ. კაკუშაძე.

# უცხოეთის არმიებში

## ჯალათების წესდება.

ამერიკის ბურჟუაზია უბრძანებს თავის ჯარისკაცებს მხრჩოლავი გაზებით ამოხოცონ მუშები.

კაპიტალისტებმა სამხედრო ქიმიაში დაინახეს რევოლიუციის საწინააღმდეგო შესანიშნავი—უებარი საშვალება. ერთ-ერთ ამერიკულ გაზეთ „ახალ ქვეყნის“ რედაქციას ჩაუვარდა ხელში ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც წვრთნიან ამერიკის შეერთებულ შტატების დემოკრატიული რესპუბლიკის „სახალხო“ არმიას.

გამოცემული იქნა განსაკუთრებული დროებითი წესდება „სამხედრო ქიმიური საშვალებებით აჯანყებულ ბრბოების წინააღმდეგ სამოქმედოთ.“

წესდებას მხედველობაში აქვს მიღებული სამი შემთხვევა, რომლის დროსაც აუცილებელი იქნება მიმართონ ქიმიურ გაზებს: 1) როდესაც ბრბო 500 კაცზე მეტისგან შესდგება, შეიარაღებულია და აქვს საკმაოდ დისციპლინიანი ორგანიზაცია; 2) როდესაც ბრბო ცუდათაა შეიარაღებული და შეკავშირებული ორგანიზაციულად და 3) როდესაც „ბრბო“ შესდგება ქალებისა, მოზრდილი ბავშვების და სხვათაგან.

წესდებაში განმარტებულია თუ რატომ უფრო ხელსაყრელია ასეთი აჯანყებული ბრბოს წინააღმდეგ მოშხამული გაზების მოხმარება და არა სხვა იარაღის.

„ბრბომ“ იცის—ნათქვამია წესდებაში—რომ ტყვიამფრქვევისა და თოფის ცეცხლს ადვილად შეიძლება დაემალო სახლის კუთხეებში და ქუჩების შეს ხვევებში. ხოლო ქიმიურ გაზების გაშვების დროს, მას ესმის, რომ საშველი ალარსაიდან არის, რადგანაც გაზები ვრცელდებიან ყველგან. ეს გარემოება დიდ არევ-დარევას შექმნის ბრბოში და გაიფანტება. გაქცეულები თვისი ტანსაცმელის საშვალებით თან წაიყოლებენ გაზების ნაწილს და სხვაგანაც გაავრცელებენ მას.

ასეთ შემთხვევებში ურჩევენ მოიხმარონ ცრემლის მომგვრელი, დასამცხრკვებელი, გულის ამრევი და უფრო გართულებული შემთხვევების დროს ფოსფორის ქიმიური გაზები, რომლებიც ხასიათდებიან კანის დაწვის თვისებებით.

წესდებას დართული აქვს სამაგალითო ნიმუშები, თუ როგორ უნდა მოხდეს აჯანყებულების გარეკა გაზების საშვალებით.

ეს წესდება გამოყენებულია ამერიკაში 1921 წლიდან. ამჟამად პოლიციამაც საჭიროდ დაინახა ასეთი გაზების მოხმარა და ემზადებიან ქიმიური ბრძოლისთვის.

ამერიკის ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ ათი წლის შემდეგ აჯანყებული „ბრბოს“ წინააღმდეგ ყველგან შესაძლებელი იქნება ასეთი წესით მოქმედება ამერიკაში.

ამერიკის ჯარები ემზადებიან სამოქალაქო ომისათვის. ბურჟუაზიის განზრახვაც მართლა რომ ჯოჯოხეთურია. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ რევოლუციის დახვრეტა შეუძლებელი იყო ზარბაზნითა და ტყვიამფრქვევებით. შეუძლებელი იქნება აგრეთვე მისი ქიმიური გაზებით დახრჩობაც.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-4-ხე ლეგ. 8-ვე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიაში ჩარიცხვის შესახებ სურენ ოგანესიძე კაზარიანს (ერევანის მაზრის სოფ. შაფის მცხ. ოც. მეთაური. პარტიის კანდიდატი 1924 წლიდან) თუ ვინმემ რაიმე უარყოფითი იცით ამხანაგის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

უჯრედის მდივანი პატარავა

---

მე-2-რე ქართულ მსროლელ ლეგიონის 1-ლ ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პ. კანდიდატობიდან პარ. წევრად გადარიცხვის შესახებ შემდეგ ამხანაგებს: მეგრელიშვილი ივანე მასიკოსძეს (ოზურგეთის მაზრის მცხოვრები) და ჭელიძე გალაქტიონ სპირდონისძეს (ქუთაისის მაზრის მცხოვრები.

თუ ვინმემ საწინააღმდეგო იცის რაიმე აღნიშნულ პირებზე გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში მე-2 ლეგიონის პირველ ასეულის კომუჯრედში, წერილობით.

---

1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონის მე-3 კომუჯრედში შემტანილი აქვთ განცხადებები პარტიაში წევრად მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

კ. პ. კანდიდატს: 1. შავიანცი პეტრეს.

კანდიდატათ.

1. ჩიკვაიძე ალექსანდრეს (მეთაური უპარტიო), 2. სდავა მიხეილს (წ. არ. კომკავშირის წევრი) და 3. ჯიშკარიანი ესტატეს (წ. არ. კომკავშირის წევრი).

ვისაც რაიმე საწინააღმდეგო აქვს მათი მიღების შესახებ გთხოვთ შემოიტანოთ განცხადება წერილობითი ან გვაცნობოთ სიტყვიერათ მე-3 ასეულის კომუჯრედში.

კომუჯრედისპას. მგ.

მდივანი კ. ქაჯაია

---

მე-2 ქართულ მსროლელ ლეგიონის მე-2 კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები უპარტიო ამხანაგებს კომპარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ: 1) ვლადიმერი კონსტანტინეს ძე რურუას და 2) ალექსანდრე ბესარიონის ძე ბუაძეს. გთხოვთ თუ ვინმემ რაიმე უარყოფითი იცით მათ შესახებ გვაცნობოთ მე-2 ქართ. მსრ. ლეგიონის მე-2 კომუჯრედში.

უჯრედის მდივანი კაკაბაძე.

---

გაავრცელე

გაავრცელე

**ამხანაგო**

**წითელ არმიელო!**

გახსოვდეს შენი მოვალეობა.

გმართებს არაჩვეულებრივი მზრუნველობა.

ყოველ დღე შეეკითხე შენს თავს—

რა გააკეთე მთელი დღის განმავლობაში,

რამდენი ხელისმომწერი უშოვე

**„წითელ არმიელ“-ს**

გაზ. „წითელი არმიელი“

---

**დაკარგე** მეექვსე ლეგიონიდან გაცემული რადობის მოწმობა № 629 ნიკოლოზ გიორგაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

---

**დაკარგე** სააღრიცხვო ბარათი ფორმა № ტფილისის მაზრის სამხედრო კომისარიატისაგან გაცემული, რომელშიდაც აღნიშნულია სამხედრო სამსახურის გავლა 1-ლ საარტილერიო ლეგიონში, არჩილ ლაზარისძე ბოგდანოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.



სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ № 8.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე